საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დადიანი ქეთევან მიხეილის ასული

Image not found or type unknown

ქ. დადიანი

დადიანი ქეთევან მიხეილის ასული (26. II. 1915, ქუთაისი, – 24. VIII. 1992, თბილისი), ეკონომისტი. ეკონ. მეცნ. კანდიდატი (1948), ეკონომიკის დარგში სამეცნ. ხარისხის მქონე პირველი ეკონომისტი ქალი საქართველოში. 1937 დაამთავრა თსუ-ის ეკონ. ფაკ-ტი. 1944–55 მუშაობდა საქართვ. მეცნ. აკად. ეკონომიკის ინ-ტში სხვადასხვა თანამდებობაზე. 1970–89 ხელმძღვანელობდა საქ. სსრ სახელმწ. საგეგმო კომიტეტთან არსებული სახ. მეურნეობის ეკონ. და დაგეგმვის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის სხვადასხვა განყოფილებას. სამეცნ. მუშაობის პარალელურად ეწეოდა პედ. საქმიანობას (1950–70). დ. ავტორია მრავალი სამეცნ. შრომისა, რ-ებიც ეხება ქვეყნის ეკონ. სპეციალიზაციისა და კომპლ. განვითარების, მეურნეობის დაგეგმვის, მართვისა და პროგნოზირების საკითხებს. მისი ხელმძღვანელობით საქართველოში პირველად შემუშავდა რეგიონების – ავტონ. რესპუბლიკის, ოლქის, ქალაქის, რაიონის მეურნეობის კომპლ. განვითარების გეგმის შედგენის მეთოდიკა. იგი ითვლება საგარეო ეკონ. კავშირების კვლევის ერთ-ერთ პიონერად საქართველოში.

ლიტ.: ქეთევან დადიანი, თბ., 2006.

გ. ყუფუნია